ქედის მუნიციპალიტეტის

2024 წლის ბიუჯეტი

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № --
2023 წლის -- ნოემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი დანართი №3-ის შესაბამისად

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 29/12/2022, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016358).

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1.ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
შემოსავლები	18 818 507	23 107 800	24 760 800
გადასახადები	12 902 820	15 402 400	16 690 800
გრანტები	5 287 900	7 200 000	7 500 000
სხვა შემოსავლები	627 787	505 400	570 000
ხარჯები	11 691 969	15 530 218	15 992 600
შრომის ანაზღაურება	4 206 779	6 007 309	6 504 300
საქონელი და მომსახურება	2 632 305	3 541 492	4 075 200
პროცენტი	13 273	18 400	18 400
სუბსიდიები	2 278 495	3 141 507	2 984 000
სოციალური უზრუნველყოფა	1 220 706	1 323 422	1 450 100
სხვა ხარჯები	1 336 931	1 493 738	960 600
საოპერაციო სალდო	7 126 538	7 577 582	8 768 200
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 153 027	8 953 418	9 417 200
ზრდა	7 171 870	8 983 418	9 447 200
კლება	18 843	30 000	30 000
მთლიანი სალდო	-26 488	-1 375 836	-649 000
ფინანსური აქტივების ცვლილება	-53 278	-1 402 836	-677 000
კლება	0	1 402 836	677 000
ვალუტა და დეპოზიტები		1 402 836	677 000
ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-27 000	-28 000
ზრდა	0	0	0
საშინაო	26 790	27 000	28 000
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
შემოსულობები	**18 837 350**	**23 137 800**	**24 790 800**
შემოსავლები	**18 818 507**	**23 107 800**	**24 760 800**
არაფინანსური აქტივების კლება	**18 843**	**30 000**	**30 000**
გადასახდელები	**18 890 629**	**24 540 636**	**25 467 800**
ხარჯები	**11 691 969**	**15 530 218**	**15 992 600**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**7 171 870**	**8 983 418**	**9 447 200**
ვალდებულებების კლება	**26 790**	**27 000**	**28 000**
ნაშთის ცვლილება	**-53 278**	**-1 402 836**	**-677 000**

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 24 760 800 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
შემოსავლები	**18 818 507**	**23 107 800**	**24 760 800**
გადასახადები	**12 902 820**	**15 402 400**	**16 690 800**
გრანტები	**5 287 900**	**7 200 000**	**7 500 000**
სხვა შემოსავლები	**627 787**	**505 400**	**570 000**

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 24 760 800 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
შემოსავალი	**18 818 507**	**23 107 800**	**24 760 800**
გადასახადები	**12 902 820**	**15 402 400**	**16 690 800**
გადასახადები ქონებაზე	**441 624**	**400 000**	**400 000**
გადასახადები უძრავ ქონებაზე	441 624	400 000	400 000
ქონების გადასახადი	441 624	400 000	400 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	361 406	367 000	367 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 891	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	5 580	0	0
ფიზიკური პირებიდან	4 473	0	0
იურიდიული პირებიდან	1 107	0	0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	70 747	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	2 806	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	67 941	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	**12 461 196**	**15 002 400**	**16 290 800**
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	12 461 196	15 002 400	16 290 800
დამატებული ღირებულების გადასახადი	12 461 196	15 002 400	16 290 800
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	3 805 333	4 233 600	4 514 300
იმპორტირებული პროდუქციიდან	8 655 863	10 768 800	11 776 500

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები(ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტისბიუჯეტის გრანტები 7 500 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**	**2024 წლის პროექტი**
გრანტები	**5 287 900**	**7 200 000**	**7 500 000**
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან	**1 200,00**	**0,00**	**0,00**
კაპიტალური	1 200,00	0,00	0,00
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	**5 286 700**	**7 200 000**	**7 500 000**
მიმდინარე	1 108 255	350 000	350 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	1 108 255	350 000	350 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1 108 255	350 000	350 000
სპეციალური ტრანსფერი	1 108 255	350 000	350 000
კაპიტალური	4 178 445	6 850 000	7 150 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	4 178 445	6 850 000	7 150 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	4 178 445	6 850 000	7 150 000
კაპიტალური ტრანსფერი	4 178 445	6 850 000	7 150 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 570 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**	**2024 წლის პროექტი**
სხვა შემოსავალი	**627 787,00**	**505 400**	**570 000**
შემოსავალი საკუთრებიდან	**263 489,01**	**260 500**	**257 000**
პროცენტი	176 225	160 500	140 000
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	176 225	160 500	140 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	176 225	160 500	140 000
რენტა	87 264,11	100 000	117 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	84 051	98 000	114 000
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	10 000	10 000	12 000

მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	50 000	50 000	60 000
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	15 000	15 000	17 000
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	9 051	23 000	25 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 213	2 000	3 000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**103 009,1**	**50 000**	**77 000**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	84 745	35 000	57 000
სანებართვო მოსაკრებლები	63 326	10 000	30 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	63 326	10 000	30 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	21 385	25 000	27 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	34,60		0,00
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	18 264	15 000	20 000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18 264	15 000	20 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	18 264	15 000	20 000
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**30 756**	**54 900**	**36 000**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0	44 200	29 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	0	11 200	7 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	0	3 000	2 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	0	30 000	20 000
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	0	25 000	17 000
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	0	5 000	3 000

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	0	8 700	7 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	30 756,21	2 000,00	0,00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**230 533**	**140 000**	**200 000**
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	230 533	140 000	200 000
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	230 533	140 000	200 000
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	230 533	140 000	200 000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 15 992 600 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ხარჯები	11 688 489	15 525 868	15 992 600
შრომის ანაზღაურება	4 206 779	6 007 309	6 504 300
საქონელი და მომსახურება	2 632 305	3 541 492	4 075 200
პროცენტი	13 273	18 400	18 400
სუბსიდიები	2 278 495	3 141 507	2 984 000
სოციალური უზრუნველყოფა	1 220 706	1 323 422	1 450 100
სხვა ხარჯები	1 336 931	1 493 738	960 600

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 417 200 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 447 200 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 231 061	335 485	1 436 500
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 251 506	7 125 433	4 509 500
დასუფთავება და გარემოს დაცვა	29 700	172 300	258 400
განათლება	117 875	144 500	54 100
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 229 895	978 900	2 838 700
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	311 833	226 800	350 000
სულ ჯამი	7 171 870	8 983 418	9 447 200

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	18 843	30 000	30 000
ძირითადი აქტივები	15 655	10 000	10 000
არაწარმოებული აქტივები	3 188	20 000	20 000
მიწა	3 188	20 000	20 000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 25 439 800 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 381 297	4 718 300	6 664 500
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა,საგარეო ურთიერთობები	3 207 776	4 576 600	5 036 100
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 207 776	4 336 600	4 936 100
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	240 000	100 000
7,16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	13 273	18 400	18 400
7,18	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 160 248	123 300	1 610 000
7,2	თავდაცვა	0	128 400	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	0	128 400	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	1 927 081	4 120 510	2 130 500
7,42	სოფლის მეურნეობა,სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	11 760	8 000	13 000
7,421	სოფლის მეურნეობა	11 760	8 000	13 000
7,45	ტრანსპორტი	1 588 582	3 727 310	1 593 500
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	1 588 582	3 727 310	1 593 500
7,47	ეკონომიკის სხვა დარგები	326 739	385 200	524 000
7,473	ტურიზმი	326 739	385 200	524 000

7,5	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 084 575	1 784 800	1 694 100
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 084 575	1 784 800	1 694 100
7,6	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	3 574 201	4 623 023	3 676 700
7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 856 421	2 678 600	1 750 000
7,63	წყალმომარაგება	932 679	1 287 150	1 560 700
7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	785 101	657 273	366 000
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	1 041 566	861 200	922 100
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 041 566	861 200	922 100
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 946 514	2 954 355	4 853 400
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 015 439	686 540	1 342 100
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	1 931 075	2 267 815	3 511 300
7,9	განათლება	2 687 282	3 921 001	3 916 000
7,91	სკოლამდელი აღზრდა	2 136 747	2 967 000	3 010 000
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	550 535	954 001	906 000
7 10	სოციალური დაცვა	1 221 323	1 402 047	1 582 500
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	30 473	32 000	32 000
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 190 850	1 370 047	1 550 500
	სულ ბიუჯეტის გადასახდელები	18 863 839	24 513 636	25 439 800

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო -677 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 28 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

2024 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. პრიორიტეტი: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის წარმომამდენლობით და აღმასრულებელი რგოლების განვითარებისთვის და თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა**
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04 01	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამღლება
01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა

<u>**პრიორიტეტი:**</u>

2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

- **პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01).** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა),

გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები :

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)
02 01 03	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
02 01 04	ბურღვა აფეთქება
02 01 05	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო

- **პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02).** მუნიციპალიტეტსი განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 02 01	**წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა**
02 02 02	**შპს ქედის წყალკანალი**

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის წყალმომარაგება.

- **ქვეპროგრამა**: **წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01).** ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შეძენას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 01	**წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა**
02 02 01 01	სოფელ პ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 02	სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა
02 02 01 03	სოფელ პ/მაისის ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 04	სოფელ ძენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა

- **ქვეპროგრამა**: **შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02).** მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა.
-

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, ქლორირება და ფილტრაცია.გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება და მოვლილია კანალიზაციო და სანიაღვრე არხები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 02	**შპს ქედის წყალკანალი**

- **პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03).** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 03 01	**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი**
02 03 02	**ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**
02 03 03	**პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა**

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: შექმნილია ახალი საბინაო ფონდი, გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

- **ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01).** პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია; შექმნილია ახალი საბინაო ფონდი, გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 01	**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი**
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
02 03 01 02	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა
02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)

- **პროგრამა: ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02).** გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 02	**ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვა და ახალი ტერიტორიების ათვისება; სტიქიისგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალური და კერძო საკუთრება და ათვისებული ახალი ტერიტორიები

- **პროგრამა: პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა–პატრონობა, კერძოდ, ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**
02 03 03	**პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა**
02 03 03 01	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახოში სკვერის მოწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მოწყობილი და გაფართოებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის, მოვლილი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები და პარკები.

- **პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04).** მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო–

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2022 წლისათვის დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

-

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება; მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

- **პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05).** მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია; ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
02 09	მთების ელექტროფიკაცია(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, გომის მთა)

<u>**პრიორიტეტი:**</u>

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

- **პროგრამა: მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 00).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი
03 01 02	ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული)

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება; გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

<u>**პრიორიტეტი:**</u>

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 00). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი 490 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 255 თანამშრომელი, მათ შორის 30 კაცი და 225 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება. განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში ერთხელ გაიცემა სტიპენდია, რომლებსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვთ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, ამასთან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსანის/მედალოსნის კანდიდატის სტატუსი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება იმ სტუდენტთა წახალისება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

შენიშვნა: ქვეპროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა შემდეგნაირად - სტუდენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებს 100 % გრანტს, სტიპენდიის სახით ერთჯერადად ჩაერიცხება 1250 ლარი, 70% -ის შემთხვევაში 875 ლარი, ხოლო 50% - 625 ლარი.

მოსწავლეს, რომელსაც მიენიჭება ოქროს მედალოსანის სტატუსი, წლის განმავლობაში ერთხელ სტიპენდიის სახით ჩაერიცხება 625 ლარი, ხოლო ვერცხლის მედალოსანს 500 ლარი.

დაფინანსება: პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
04 00	**განათლება**
04 01	**სკოლამდელი აღზრდა და განათლება**
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
04 01 02	**საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია**
04 02	**ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეებისა და სტუდენტების წახალისება, განათლების ხელშეწყობა, სწავლით დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება; მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა,შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო, წახალისებულია წარმატებული სტუდენტები და მოსწავლეები.

<u>**პრიორიტეტი:**</u>

5. კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00).

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

- **პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01).** ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**
05 01 01	**ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა**
05 01 02	**სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა**
05 01 03	**სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა**
05 01 04	**სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

- **პროგრამა: სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03).** მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. 1.სარაგბო კლუბ „ფირალები"-ს საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკოპლექტების წინაპირობაა. კლუბის ბაზაზეა 2 ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილია რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

- **პროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04).** ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია
05 01 04 01	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ.ცხმორისი)
05 01 04 02	სოფელ ცხემნაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა
05 01 04 03	დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განახლებული მინი სპორტული მოედნები.

- **პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02).** ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა.კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების,იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების,საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.
- კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები)
- კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია, ქედის მუნიციპალიტეტის ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.)
- საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
05 02 01	ა.(ა).ი.პ ქედის კულტურის ცენტრი
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა
05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი
05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა
05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
05 02 06	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია; შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა. გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

- **პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა.

- **პროგრამა: კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობ- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა (პროგრამული კოდი 05 02 06).** ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02 06	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა
05 02 06 01	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია
05 02 06 02	წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება; გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

<u>პრიორიტეტი:</u>

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00).

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**

- **პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01).** პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**
06 01 01	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა
06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა
06 01 03	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის
06 01 04	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა
06 01 06	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნვეყოფა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

- **პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02).** პროგრამის ფარგლებში არსებული 12 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
06 02	სოციალური უზრუნველყოფა
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა
06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება
06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება
06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება
06 02 06	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა
06 02 07	სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა
06 02 08	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა
06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა
06 02 10	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება
06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება
06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის
06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება
06 02 14	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.

თავი III

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 15 ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
1	ქედის მუნიციპალიტეტი	18 890 629	24 540 636	**25 467 800**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	508	511	**511**
	ხარჯები	11 691 969	15 530 218	**15 992 600**
	შრომის ანაზღაურება	4 206 779	6 007 309	**6 504 300**
	საქონელი და მომსახურეობა	2 632 305	3 541 492	**4 075 200**
	პროცენტი	13 273	18 400	**18 400**
	სუბსიდიები	2 278 495	3 141 507	**2 984 000**
	გრანტები	3 480	4 350	**0**
	სოციალური უზრუნველყოფა	1 220 706	1 323 422	**1 450 100**
	სხვა ხარჯები	1 336 931	1 493 738	**960 600**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 171 870	8 983 418	**9 447 200**
	ვალდებულებების კლება	26 790	27 000	**28 000**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**4 408 087**	**4 873 700**	**6 692 500**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	120	121	**120**
	ხარჯები	3 150 237	4 511 215	**5 228 000**
	შრომის ანაზღაურება	1 871 040	2 600 698	**2 855 700**
	საქონელი და მომსახურეობა	1 120 968	1 538 165	**2 012 300**
	პროცენტი	13 273	18 400	**18 400**
	გრანტები	3 480	4 350	**0**
	სოციალური უზრუნველყოფა	6 817	10 452	**5 000**
	სხვა ხარჯები	134 659	317 240	**336 600**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 231 061	335 485	**1 436 500**
	ვალდებულებების კლება	26 790	27 000	**28 000**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	**3 207 776**	**4 465 000**	**4 936 100**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	120	121	**120**

	ხარჯები	2 979 546	4 129 515	**4 799 600**
	შრომის ანაზღაურება	1 871 040	2 600 698	**2 855 700**
	საქონელი და მომსახურეობა	1 044 655	1 478 165	**1 902 300**
	სოციალური უზრუნველყოფა	6 817	5 452	**0**
	სხვა ხარჯები	57 034	45 200	**41 600**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	228 231	335 485	**136 500**
01 01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	857 132	1 013 153	**1 193 900**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24	25	**25**
	ხარჯები	850 832	1 006 553	**1 107 300**
	შრომის ანაზღაურება	622 411	696 000	**760 600**
	საქონელი და მომსახურეობა	200 872	277 353	**313 500**
	სხვა ხარჯები	27 549	33 200	**33 200**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6 300	6 600	**86 600**
01 01 02	**მუნიციპალიტეტის მერია**	2 278 361	3 323 447	**3 742 200**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	92	92	**95**
	ხარჯები	2 056 430	2 998 962	**3 692 300**
	შრომის ანაზღაურება	1 190 261	1 821 698	**2 095 100**
	საქონელი და მომსახურეობა	829 867	1 160 312	**1 588 800**
	სოციალური უზრუნველყოფა	6 817	5 452	**0**
	სხვა ხარჯები	29 485	11 500	**8 400**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	221 931	324 485	**49 900**
01 01 03	**სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**	72 283	128 400	**0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4	4	**0**
	ხარჯები	72 283	124 000	**0**
	შრომის ანაზღაურება	58 367	83 000	**0**
	საქონელი და მომსახურეობა	13 916	40 500	**0**
	სხვა ხარჯები		500	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		4 400	0
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**1 200 311**	**408 700**	**1 756 400**
	ხარჯები	170 691	381 700	**428 400**
	საქონელი და მომსახურეობა	76 313	60 000	110 000
	პროცენტი	13 273	18 400	**18 400**
	სუბსიდიები	0	21 910	0
	გრანტები	3 480	4 350	0
	სოციალური უზრუნველყოფა	0	5 000	5 000
	სხვა ხარჯები	77 625	272 040	**295 000**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 002 830	0	**1 300 000**
	ვალდებულებების კლება	26 790	27 000	**28 000**
01 02 01	**სარეზერვო ფონდი**	0	240 000	**100 000**
	ხარჯები	0	240 000	**100 000**

	სხვა ხარჯები	0	240 000	**100 000**
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	1 085 393	50 000	**1 500 000**
	ხარჯები	82 563	50 000	**200 000**
	საქონელი და მომსახურეობა	72 063	50 000	100 000
	სხვა ხარჯები	10 500	0	**100 000**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 002 830	0	**1 300 000**
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	31 405	27 000	**50 000**
	ხარჯები	31 405	27 000	**50 000**
	სუბსიდიები		21 910	0
	გრანტები	3 480	4 350	0
	სხვა ხარჯები	27 925	740	**50 000**
01 02 04	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	40 063	45 400	**46 400**
	ხარჯები	13 273	18 400	**18 400**
	პროცენტი	13 273	18 400	**18 400**
	ვალდებულებების კლება	26 790	27 000	**28 000**
01 02 04 01	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	40 063	45 400	**45 400**
	ხარჯები	13 273	18 400	**18 400**
	პროცენტი	13 273	18 400	**18 400**
	ვალდებულებების კლება	26 790	27 000	**27 000**
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა	0	0	**1 000**
	ვალდებულებების კლება	0	0	**1 000**
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა	14 430	29 000	**45 000**
	ხარჯები	14 430	29 000	**45 000**
	საქონელი და მომსახურეობა	510	0	0
	სხვა ხარჯები	13 920	29 000	**45 000**
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	3 740	5 000	**5 000**
	ხარჯები	3 740	5 000	**5 000**
	საქონელი და მომსახურეობა	3 740	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა		5 000	5 000
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამღლება	0	10 000	**10 000**
	ხარჯები	0	10 000	**10 000**
	საქონელი და მომსახურეობა	0	10 000	10 000

01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	25 280	2 300	**0**
	ხარჯები	25 280	2 300	**0**
	სხვა ხარჯები	25 280	2 300	**0**
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	**5 501 282**	**8 743 533**	**5 807 200**
	ხარჯები	1 249 776	1 618 100	**1 297 700**
პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება მერის ან მერის მოადგილის სახელზე, 0-18 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. შშმ პირის დამადასტურებელი მოწმობა ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან; 4. შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები; 6. ექიმის მიერ გაცემული ცნობა (ფორმა N100), სადაც მითითებული იქნება 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარის მდგომარეობა (მუდმივად ეტლით მოსარგებლე ან მუდმივად მწოლიარე); მოვლის საჭიროების საგნების შესაძენად თანხა გაიცემა ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.გამონაკლის შემთხვევაში პროგრამით 2024 წელში ისარგებლებს ის ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრი გარდაეცვალა 2023 წლის დეკემბრის თვეში და დახმარება გაეწევა 2023 წლის პროგრამით გათვალისწინებული ოდენობით.		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირები	ოჯახების რაოდენობა	70	70	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მომართვიანობის შესაბამისად	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარები	ოჯახების რაოდენობა	40	50	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მომართვიანობის შესაბამისად	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	**06 02 09**
ქვეპროგრამის დასახელება:	**0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	**ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	**2024 - 2027 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	**28 800**
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	**28 800**
ქვეპროგრამის მიზანი	
მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	

ქვეპროგრამის აღწერა
არსებობს იშვიათი დაავადებები (ფენილკეტონურია, გლუტენის აუტანლობა, ლაქტოზის აუტანლობა და ა.შ.), რომელთა მკურნალობის ძირითადი საშუალებაა დიეტათერაპია, დროული და სწორი დიეტის შემთხვევაში ბავშვი სრულფასოვნად განვითარდება და არაფერი შეაწუხებს. ასეთი პაციენტების სხვა ბავშვებისგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი კვების რაციონი არის, რისთისაც საჭიროა შესაბამისი პროდუქტის შეძენა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და აღნიშნულ ოჯახებს ფინანსური ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთ კატეგორიის ბენეფიციარებს სპეციალური-სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება ვაუჩერის სახით 800 ლარის ოდენობით.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი	28 800		
სოციალური უზრუნველყოფა	**3**	**9 600** **12*800**	**28 800**

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ხარჯები	X	X	X	X
სოციალური უზრუნველყოფა	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	14 400	28 800	30 000	30 000	30 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 2** - შიმშილის აღმოფხვრა	გენდერული	არა
დამატებითი ინფორმაცია			
პროგრამით ისარგებლებს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთერთი მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ექიმის მიერ გაცემული ფორმა N100, სადაც მითითებული იქნება, რომ მოქალაქე ნამდვილად საჭიროებს სპეციფიკურ-სამკურნალო კვების პროდუქტებს; 5. ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან (მაღაზია ან აფთიაქი) თანხის მითითებით: ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ჩვენს მიერ ბენეფიციარზე გაიცემა ვაუჩერი. ანგარიშსწორება მოხდება, დაწესებულებასა (მაღაზია ან აფთიაქი) და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მათ მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების პერიოდი 03/01-15/12-2023წ.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	2	2	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პირდაპირი მომართვიანობა	მომართვიანობის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	**სოციალური დაცვა**

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10
ქვეპროგრამის დასახელება:	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	26 200
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	18 853
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 053

ქვეპროგრამის მიზანი

უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით

ქვეპროგრამის აღწერა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყვლადი ჯგუფების ((სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მობილიზებით და თთგ (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საჭიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეთა ჯგუფი ქედაში აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, სოციალურ მხარდაჭერასა და თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სულ უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მოდულებისა და კვალიფიციური ტრენერების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ. პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრები მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით შეძლებენ უფრო მეტად უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებას, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ქედაში წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის covid-19-ით მიღებულ ზიანს. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და მოხალისეთა ჯგუფს ქედაში შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყვლადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში, მათ გაძლიერებასა და მათივე პრობლემების ადვოკატირებაში. მობილიზებული პარტნიორები, თემის წევრები და სერვისების მიწოდებასა და განხორციელებაში გაწრთვნილი მოხალისეები კი არის შეთავაზებული პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მდგრადობის გარანტი.

დასახელება		პროდუქტი		
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი		45 053		
ძირითადი პროგრამული ხარჯები				
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)	ღონისძიება	200	3	600
გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის	ვიზიტი	381	1	381
მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის	ინიციატივა	450	4	1 800

პირველი დახმარების სწავლების ტრენინგების ჩატარება სხვადსხვა მიზნობრივ ჯგუფებში (საჯარო სკოლების მასწავლებლები, მე- 10-12 კლასებში, ბავშვთა ბაღების მასწავლებლები, ავტოტრანსპორტის მძღოლები და სხვა რისკის ჯგუფები, მინიმუმ 60 ბენეფიციარი)	ერთეული	400	4	1 600
სამედიცინო აქცია (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა ხარჯები) დაუცველი ჯგუფებისათვის	ერთეული	230	12	2 760
ბინაზე მოვლის ბენეფიციართა მხარდამჭერი საქმიანობები	ერთეული	100	12	1 200
ქვეჯამი				**8 341**
სხვა პროგრამული ხარჯები				
საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	ცენტრი	320	2	639
ცენტრის მიმდინარე ხარჯები	ცენტრი	120	12	1 440
სატრანსპორტო ხარჯები	პირი	130	12	1 560
სატრანსპორტო და/ან კომუნიკაციის ხარჯები მოხალისეთათვის	პირი	90	12	1 080
ქვეჯამი				4 719
ადმინისტრაციული ხარჯები				
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	თვე	401	12	4 807
საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	თვე	694	12	8 333
ქვეჯამი:				**13 140**
სულ ჯამი:				**26 200**

ძირითადი პროგრამული ხარჯები	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	პროექტის სრული ღირებულება	წითელი ჯვრის ფონდიდან	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა)	200	3	600	0	600
გაცვლითი ვიზიტები თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის	381	1	381	0	381
მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის	450	4	1800	0	1800
პირველი დახმარების სწავლების ტრენინგების ჩატარება სხვადსხვა მიზნობრივ ჯგუფებში (ხულოს სკოლების მასწავლებლები, მე- 10-12 კლასებში, ბავშვთა ბაღების მასწავლებლები, ავტოტრანსპორტის მძღოლები და სხვა რისკის ჯგუფები, მინიმუმ 150 ბენეფიციარი)	400	4	1600	0	1600
სამედიცინო აქცია (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა ხარჯები) დაუცველი ჯგუფებისათვის	1000	12	12000	9 240	2760
ბინაზე მოვლის ბენეფიციართა მხარდამჭერი საქმიანობები	100	12	1200	0	1200
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	600	2	1200	1 200	0
ქვეჯამი			**18 781**	**10 440**	**8 341**
სხვა პროგრამული ხარჯები					
საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	319,6	2	639	0	639
ცენტრის მიმდინარე ხარჯები	120	12	1 440	0	1 440
სატრანსპორტო ხარჯები	130	12	1 560	0	1 560
საინფორმაციო მასალა (პლაკატები, ფლაერები და სხვა)	90	12	1 080	0	1 080
ქვეჯამი			**4 719,2**	**0,00**	**4719,20**

ადმინისტრაციული ხარჯები					
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	801,2	12	9 614	4 807	4 807
საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	694,4	12	8 333	0	8 333
პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე (კატასტროფების მართვა, ჯანდაცვა და სოციალური მხარდაჭერა, პირველი დახმარება, ფილიალების განვითარება, ფინანსები და ლოჯისტიკა)	600,9	6	3 605	3 605	0
ქვეჯამი			**21 553**	**8 413**	**13 140**
სულ ჯამი			**45 053**	**18 853**	**26 200**

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ხარჯები	X	X	X	X
სუბსიდიები	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
1. უზრუნველყოფილია კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება); 2. გაზრდილია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური მხარდაჭერა;				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	26 200	26 200	30 000	35 000	40 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა
დამატებითი ინფორმაცია			
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ქედის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე კვარტალში ერთხელ ხორციელდება სუფსიდირება მათ მიერ მოთხოვნილი წერილის საფუძველზე, ხოლო კვარტლის ბოლოს წარმოადგენს დოკუმენტაციას გაწეული მომსახურეობის შესახებ.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა	ოჯახების რაოდენობა	100	150	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	**06 02 11**
ქვეპროგრამის დასახელება:	**სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	**ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**

ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	462 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	462 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამის აღწერა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარაებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. ვინაიდან, საგრძნობლად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისი გახდა დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა, რის გამოც საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება.
აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს:
1) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.
2) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას.
3) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.
4) ოჯახი, რომელიც გაყვანილია ქირით, დაკმაყოფილების (საცხოვრისით, კომპენსაციით) მომენტიდან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.
5) დაუშვებელია ერთზე მეტი თვის შესაბამისი თანხის ერთდროულად გაცემა.
6) დაუშვებელია ამორტიზებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალკე-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოჯახი დაყოფილი იყო დაზარალებამდე, ეწეოდა ცალკ-ცალკე მეორნეობას და არიან ენერგომოხმარების დამოუკიდებელი აბონენტები, რაც დადასტურდება მოხსენებითი ბარათით შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი	462 000		
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	110	4 200 12*350	462 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ხარჯები	X	X	X	X
სხვა ხარჯები	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
აღმოფხვრილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფა				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	302 500	462 000	500 000	500 000	500 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 1 -** სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა
დამატებითი ინფორმაცია			

როგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება დაზარალებულის მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო რეკვიზიტი; 4. შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნა; 5.ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურიდან ცნობა; ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის შემდეგ:

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
აღმოფხვრილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფა	დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა	57	110	რაოდენობა	20%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	**06 02 12**
ქვეპროგრამის დასახელება:	**მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	**ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	**2024 - 2027 წელი**
მუნიციპალური ბიუჯეტი	**94 800**
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	**94 800**

ქვეპროგრამის მიზანი
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ყოველთვიურად ფინანსური დახმარების გაწევა

ქვეპროგრამის აღწერა
საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ბავშვზე ზრუნვის ტვირთს ორივე მშობელს თანაბრად აკისრებს, თუმცა პირს, რომელიც მარტო (მეორე მშობლის გარეშე) ზრდის თავის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მშობლის უფლებები და ვალდებულებები მხოლოდ საკუთარ თავზე აქვს აღებული, ასევე მარჩენალის (მშობელი/მშობლები) დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის სოციალური მდგომარეობა, რაშიც იგულისხმება ბავშვის/ბავშვების მორალური და ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, უარესდება. ვინაიდან, შვილის აღზრდა–განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი კატეგორიის პირებს ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი	94 800		
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი	2	2400 12*200	4 800
მარჩენალდაკარგული	75	1200 12*100	90 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ხარჯები	X	X	X	X
სოციალური უზრუნველყოფა	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				

1. მარტოხელა მშობლის და მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია; 2. მარტოხელა მშობლის და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსური კეთილდღეობა უზრუნველყოფილია;

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	87 600	94 800	100 000	120 000	150 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 1** - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; **მიზანი 5** - გენდერული თანასწორობა;	გენდერული	დიახ
დამატებითი ინფორმაცია			
პროგრამით ისარგებლებს - 1) მარტოხელა მშობელი, რომელთაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ დაბადების აქტში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის ან/დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელთაც შვილად ჰყავთ აყვანილი 18 წკლამდე ასაკის ბავშვი და რომლებიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2) მარჩენალდაკარგული პირი - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი/შვილები 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე. პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: 1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; 2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; 4. ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ; 5. ცნობა სააგენტოდან, იმის შესახებ რომ სახელმწიფოს მიერ სარგებლობს მარჩენალდაკარგულის შეღავათებით; 5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი; ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

გაუმჯობესებულია მარტოხელა მშობლის სოციალური მდგომარეობა და ფინანსური კეთილდღეობა	დახმარების მიმღები მშობლის რაოდენობა	2	2	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ინფორმაციის სიმცირე
გაუმჯობესებულია მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური მდგომარეობა და ფინანსური კეთილდღეობა	დახმარების მიმღები ოჯახის რაოდენობა	65	70	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ინფორმაციის სიმცირე

დანართი №3

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებს და პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის

გეგმა-შესრულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 692 765 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტი 1 200 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 4 178 445 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1 108 255 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 12 902 820 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 12 461 196 ლარი, ქონების გადასახადი 441 624 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 627 787 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 263 489 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 103 009, სანქციები, ჯარიმები და საურავები 30 756 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 230 533 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან 18 842 ლარი, მათ შორის: ძირითადი აქტივებიდან 14 775 ლარი, მატერიალური მარაგებიდან 880 ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან 3188 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2022 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 692 765 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18 890 629 ლარი.

I. <u>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</u>

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4 924 615 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 408 087 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 892 010 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 857 133 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 338 655 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 278 361 ლარი.

სამხედრო აღრცხვის, გაწვევის სამსახურის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 77 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 72 283 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 400 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 085 393 ლარი.

მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31 405 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 45 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 063 ლარი.

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 15 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 430 ლარი.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 740 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 740 ლარი.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 30 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 280 ლარი.

II. <u>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</u>

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 073 820 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 588 582 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 668 420 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 557 391 ლარი;

დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 368 900 ლარი;

მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 5 000 ლარი;

ბურღვა აფეთქება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 991 ლარი.;

დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 200 ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 947 850 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 932 679 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის სისტემის მშენებლობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 194 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 188 777 ლარი;

დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 111 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 111 481 ლარი;

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49 474 ლარი;

სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 26 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26 776 ლარი;

სს აჭარის წყლის ალიანსი“ საწესდებო კაპიტალის შენატანი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 400 ლარს.

სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა 2022 წლის გეგმა განისაზღვრა 6 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 593;

სოფელ ახოში არსებული საპირფარეშოსათვის სეპტიკის მოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 408;

შპს ქედის წყალკანალი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 529 850 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 529 170 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 659 359 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 856 421 ლარი, მათ შორის:

26 მაისის ქ.№2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 927;

სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 79 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79 023 ლარი;

სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 75 000 ლარი;

დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 180 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 176 527;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 500 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 455 156 ლარი;

დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№13 და №15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 059 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 446 687 ლარი;

ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33 991 ლარი;

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 654 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 596 364 ლარი;

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის მიმდებარეს პარკის მშენებლობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58 359 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 58 359 ლარი;

დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 387;

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 315 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 153 857 ლარი, მათ შორის:

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 861 ლარი;

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 200 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 104 903 ლარი;

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 110 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 093 ლარი;

აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 000 ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 760 ლარი;

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 000 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 355 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 326 739 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 750 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 617 244 ლარი;

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 137 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 054 875 ლარი,

ნაგვის შემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 700 ლარი;

IV. განათლება

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 193 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 139 347 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 190 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 136 747 ლარი;

ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტები ფულადი ჯილდოთი წახალისება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 600 ლარი;

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 886 760 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 494 449 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 457 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 411 869 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 402 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 396 429 ლარი;

სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 80 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 63 388 ლარი;

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 225 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 224 677 ლარი;

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 170 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 168 106 ლარი;

სოფელ ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 106 900 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 101 728 ლარი;

სოფელ კვაშტაში სპორტული მოედნის მოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 183 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 178 114 ლარი;

დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 289 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 279 427 ლარი;

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 603 660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 583 511 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 918 150 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 909 536 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 157 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 151 505 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 104 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 100 621 ლარი;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 423 410 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 421 848 ლარი;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 961 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 710 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 392 184 ლარი;

სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 77 800 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შედგინა 77 768 ლარი;

სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 400 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შედგინა 5 156 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 392 261 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 262889 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 075 960 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 041 566 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურეობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 191 260 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 191 260 ლარი;

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 153 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 153 411 ლარი;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 90 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 90 000 ლარი;

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 105 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 88 980 ლარი;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 400 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 399 954 ლარი;

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 700 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 594 ლარი;

სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 415 ლარი;

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 547 ლარი;

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 55 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 407 ლარი;

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 316 301 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 221 323 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 32 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 473 ლარი;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71 751 ლარი;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 120 ლარი;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 105 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 100 500 ლარი;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49 400 ლარი;

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 624 ლარი;

სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 284 ლარი;

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 99 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 99 395 ლარი,

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 270 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 202 464 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 84 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 81 000 ლარი;

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 000 ლარი;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 117 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 112 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 379 901 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 379 200 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 000 ლარი;

მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება 2022 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 600 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	**2023** წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	**23 931,282**	**17 828,582**	**16 856,477**
გადასახადები	**15 173,300**	**11 876,600**	**11 296,425**
გრანტები	**8 252,582**	**5 557,582**	**5 171,609**
სხვა შემოსავლები	**505,400**	**394,400**	**388,443**
ხარჯები	**15 707,785**	**12 390,108**	**11 144,651**
შრომის ანაზღაურება	**5 857,284**	**4 548,384**	**4 479,341**
საქონელი და მომსახურება	**3 477,475**	**2 552,298**	**2 213,071**
პროცენტი	**18,400**	**9,200**	**5,451**
სუბსიდიები	**3 153,207**	**2 480,257**	**2 043,397**

გრანტები	4,350	4,350	4,350
სოციალური უზრუნველყოფა	1 467,951	1 227,466	1 033,898
სხვა ხარჯები	1 729,118	1 568,153	1 365,143
საოპერაციო სალდო	8 223,497	5 438,474	5 711,826
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 599,333	6 827,810	5 880,696
ზრდა	0,000	0,000	-182,264
ვალუტა და დეპოზიტები	0,000	0,000	0,000
კლება	1 402,836	1 402,836	0,000
ვალუტა და დეპოზიტები	1 402,836	1 402,8360	182,264
ვალდებულების ცვლილება	-27,000	-13,500	-13,395
საშინაო	-27,000	-13,500	13,395
კლება	27,000	13,500	13,395
საშინაო	27,000	13,500	13,395
ბალანსი	0,000	0,000	0,000

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	**23 961 282**	**17 843 582**	**16 865 902**
შემოსავლები	23 931 282	**17 828 582**	**16 856 477**
არაფინანსური აქტივების კლება	30 000	15 000	9 425
გადასახდელები	**25 364 118**	**19 246 418**	**17 048 167**
ხარჯები	15 707 785	12 390 108	11 144 651
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 629 333	6 842 810	5 890 121
ვალდებულებების კლება	**27 000**	**13 500**	**13 395**
ნაშთის ცვლილება	**-1 402 836**	**-1 402 836**	**-182 264**

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 III კვარტლისათვის მიღებულია 5 557 609.45 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 3 859 491.73 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1 312 117.72 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 11 296 425.01 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 10 971 960.72 ლარი, ქონების გადასახადი - 324 464.29 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 388 442.90 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 144 007.89 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 30 599.94 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 24 158.40 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 187 676.67 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	**შემოსულობის დასახელება**	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებშ
1	**შემოსავლები**	**16 856 477**	**100%**
1.1	გადასახადები	11 296 425	***67%***
1.2	გრანტები	5 171 609	***31%***
1.3	სხვა შემოსავლები	388 443	***2%***

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით

შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2023** წლის III კვარტლის

ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	**შემოსავლები**	**23 931 282**	**17 828 582**	**16 856 477**	**-972 105**	***94,55%***
1,1	გადასახადები	15 173 300	11 876 600	11 296 425	***-580 175***	***95,11%***
1,2	გრანტები	8 252 582	5 557 582	5 171 609	***-385 973***	***93,06%***
1,3	სხვა შემოსავლები	505 400	394 400	388 443	***-5 957***	***98,49%***
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**30 000**	**15 000**	**9 425**	***-5 575***	***62,83%***
ჯამი		**23 961 282**	**17 843 582**	**16 865 902**	**-977 680**	**94,52%**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 70 % -ია.



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 17 828 582 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 16 856 477 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94.55%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 11 296 425 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 11 876 600 ლარის 95.11%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 67,02%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი _ ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის იანვარ-სექტემბრის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 324 464.29 ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 322 410.19 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 36.0 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1521.75 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 496.35 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 11 503 600 ლარს, ხოლო საკასო - 10 971 960.72 ლარს, შესრულდა

95.38%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 4 130 005.23 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 6 841 955.49 ლარი.

<u>გრანტები</u>

2023 წლის 9 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 5 171 610 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 5 557 579 ლარს, გეგმა შესრულდა 93.06%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 5 171 610 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 3 859 492 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 1 009 536 ლარი (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №4 და №5)) და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 302 582 ლარი სტიქიისა და გარემო პირობების (ქარი, წვიმა,თოვლი,ყინვა და სხვა) ზემოქმედების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევა).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 34.45%-ია.

#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა

1	**სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**8 252 582**	**5 557 579**	**5 171 610**	**-385 969**
1,1	სპეციალური ტრანსფერი	1 100 000	1 019 997	1 009 536	***-10 461***
1,2	კაპიტალური ტრანსფერი	6 850 000	4 235 000	3 859 492	***-375 508***
1,3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	302 582	302 582	302 582,00	***0***
ჯამი		**8 252 582**	**5 557 579**	**5 171 610**	**-385 969**

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2023 წლის 9 თვის საპროგნოზო მოცულობა 394 400 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 388 443 ლარი, ანუ გეგმის 98.49%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 114 008 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (195 500 ლარი) 73.66%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 96 855 ლარი, რაც მესამე კვარტლის გეგმის - 120 500 ლარის 80.38%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 47 153 ლარი, რაც მესამე კვარტლის გეგმის (75 000 ლარი) 62.87%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 30 600 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (36 300 ლარი) 84.30%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 16 839 ლარი.

- არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები _ 13 761 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 26 158 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (47 600 ლარის) 54.95%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 187 677 ლარი, რაც მესამე კვარტლის გეგმის (115 000 ლარი) 163.20%-ია.



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის სხვა შემოსავლები

შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	**505,400**	**394,400**	**388,443**
შემოსავალი საკუთრებიდან	**260,500**	**195,500**	**144,008**
პროცენტი	160,500	120,500	96,855
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	160,500	120,500	96,855
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	160,500	120,500	96,855
რენტა	100,000	75,000	47,153
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	98,000	73,500	47,153
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	10,000	7,500	15,000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	50,000	37,500	20,947
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	15,000	10,500	
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	0,000	0,000	0,110
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	23,000	18,000	11,096

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,000	1,500	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**50,000**	**36,300**	**30,600**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	35,000	25,500	16,839
სანებართვო მოსაკრებლები	10,000	7,500	4,562
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	10,000	7,500	4,562
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25,000	18,000	12,277
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	15,000	10,800	13,761
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	15,000	10,800	13,761
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	15,000	10,800	13,761
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**54,900**	**47,600**	**26,158**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	44,200	38,900	21,958
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	11,200	9,650	1,501
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	3,000	2,750	1,428
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	30,00000	26,50000	14,490

ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში			
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	25,000	22,500	14,115
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	5,000	4,000	0,375
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო			4,400
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო			0,140
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	8,700	6,700	4,000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	2,000	2,000	0,200
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**140,000**	**115,000**	**187,677**
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	140,000	115,000	187,677
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	140,000	115,000	187,677
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი			1,607
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე			3,005
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	140,000	115,000	183,065

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

დასახელება	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულ-ების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	**4 439,914**	**3 353,249**	**3 188,493**	**95,09%**	**18,72%**
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 292,214	3 277,664	3 126,460	95,39%	18,35%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 280,815	3 271,465	3 126,460	95,57%	18,35%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	11,399	6,199	0,000	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18,400	9,200	5,451	59,25%	0,03%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	129,300	66,385	56,582	85,23%	0,33%
თავდაცვა	**128,400**	**97,880**	**88,228**	**90,14%**	**0,52%**
სამოქალაქო თავდაცვა	128,400	97,880	88,228	90,14%	0,52%
ეკონომიკური საქმიანობა	**3 844,410**	**2 675,360**	**2 564,396**	**95,85%**	**15,05%**

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	13,000	13,000	7,899	60,76%	0,05%
სოფლის მეურნეობა	13,000	13,000	7,899	60,76%	0,05%
ტრანსპორტი	3 446,210	2 345,760	2 287,211	97,50%	13,43%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 446,210	2 345,760	2 287,211	97,50%	13,43%
ეკონომიკის სხვა დარგები	385,200	316,600	269,286	85,06%	1,58%
ტურიზმი	385,200	316,600	269,286	85,06%	1,58%
გარემოს დაცვა	**1 732,500**	**1 246,500**	**961,239**	**77,12%**	**5,64%**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 732,500	1 246,500	961,239	77,12%	5,64%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	**5 719,698**	**4 493,525**	**3 601,205**	**80,14%**	**21,14%**
კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 004,700	2 436,800	1 830,270	75,11%	10,74%
წყალმომარაგება	1 317,725	1 109,375	889,059	80,14%	5,22%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 397,273	947,350	881,876	93,09%	5,18%
ჯანმრთელობის დაცვა	**899,500**	**735,415**	**623,717**	**84,81%**	**3,66%**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	899,500	735,415	623,717	84,81%	3,66%
დასვენება, კულტურა და რელიგია	**2 886,155**	**1 931,748**	**1 767,396**	**91,49%**	**10,38%**
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	707,540	551,440	467,658	84,81%	2,75%

მომსახურება კულტურის სფეროში	2 178,615	1 380,308	1 299,738	94,16%	7,63%
განათლება	**3 798,836**	**3 008,686**	**2 809,862**	**93,39%**	**16,49%**
სკოლამდელი აღზრდა	2 887,000	2 242,550	2 105,906	93,91%	12,36%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	911,836	766,136	703,957	91,88%	4,13%
სოციალური დაცვა	**1 887,705**	**1 690,555**	**1 430,233**	**84,60%**	**8,40%**
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,000	24,000	20,898	87,08%	0,12%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 855,705	1 666,555	1 409,336	84,57%	8,27%
გადასახდელების ჯამი	**25 337,118**	**19 232,918**	**17 034,769**	**88,57%**	

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 3 353.249 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 3 188.493 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.09%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 18.72%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 88.228 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 97.880 ათასი ლარი, ამ სფეროში გაერთიანებულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 2 675.360 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2 564.396 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.85%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.05%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 246.500 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 961.239 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 77.12%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 5.64%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯები, მესამე კვარტლის გეგმა შეადგენდა 4 493,525 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 3 601.205 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 80.14%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21.14%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 735.415 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 623.717 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 84.81%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.66%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენეტებით უზრუნვეყოფის პროგრამის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 1 931.748 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 1 767.396 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.49%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.38%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების

ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 3 008.686 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 2 809.862 ათას ლარს, ანუ გეგმის 93.39%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.49%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 1 690.555 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1 430.233 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.60%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8.40%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

№	დასახელება	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ-ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	**5 857 284**	4 548 384	4 479 341	98,5%	26,27%
2	საქონელი და მომსახურება	**3 477 475**	2 552 298	2 213 071	86,7%	12,98%
3	პროცენტი	**18 400**	9 200	5 451	59,3%	0,03%
4	სუბსიდიები	**3 153 207**	2 480 257	2 043 397	82,4%	11,99%
5	გრანტები	**4 350**	4 350	4 350	100,0%	0,03%
6	სოციალური უზრუნველყოფა	**1 467 951**	1 227 466	1 033 898	84,2%	6,06%
7	სხვა ხარჯები	**1 729 118**	1 568 153	1 365 143	87,1%	8,01%
8	არაფინანსური აქტივები	**9 629 333**	6 842 810	5 890 121	86,1%	34,55%
9	ვალდებულებები	**27 000**	13 500	13 395	99,2%	0,08%
გადასახდელების ჯამი		**25 364 118**	19 246 418	17 048 167	88,6%	0,0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 479.341 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 26.27%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 213.071 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 12.98%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 5.451 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.03%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 2 043.397 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 11.99%;

გრანტების სახით გაწეული ხარჯმი შეადგენს 4.350 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.03%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 033.898 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.06%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 1 365.143 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.01%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 5 890.121 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 34.55%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13.395 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.08%;


ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში
0,08%
26,27%
34,55%
12,98%
0,03%
8,01%
6,06%
11,99%
0,03%
შრომის ანაზღაურება
საქონელი და მომსახურება
პროცენტი
სუბსიდია
გრანტი
სოციალური უზრუნველყოფა
სხვა ხარჯები
არაფინანსური აქტივები
ვალდებულებები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის

ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2023 წლის გეგმა	**2023** წლის 9 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
1	**ქედის მუნიციპალიტეტი**	**25 364 118**	**19 246 418**	**17 048 166**	88,58%
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**4 595 314**	**3 464 629**	**3 290 116**	94,96%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 409 215	3 369 345	3 214 688	95,41%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	186 099	95 284	75 428	79,16%
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**9 564 108**	**7 168 885**	**6 165 601**	86,01%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 446 210	2 345 760	2 287 211	97,50%

02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 317 725	1 109 375	889 059	80,14%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	754 125	678 675	497 635	73,32%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	563 600	430 700	391 424	90,88%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3 004 700	2 436 800	1 830 270	75,11%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	885 000	473 000	386 993	81,82%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000	476 100	464 424	97,55%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 619 700	1 487 700	978 853	65,80%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	446 273	237 350	184 082	77,56%

02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	13 000	13 000	7 899	60,76%
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	700 000	689 594	98,51%
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	10 000	8 200	82,00%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	385 200	316 600	269 286	85,06%
02 09	მთების ელექტროფიკაცია	186 000	0	0	#DIV/0!
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1 732 500**	**1 246 500**	**961 239**	77,12%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 732 500	1 246 500	961 239	77,12%
04 00	**განათლება**	**2 907 000**	**2 262 550**	**2 111 106**	93,31%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2 887 000	2 242 550	2 105 906	93,91%
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	20 000	20 000	5 200	26,00%
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3 777 991**	**2 677 884**	**2 466 153**	92,09%

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 336 776	1 085 576	970 369	89,39%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 441 215	1 592 308	1 495 784	93,94%
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2 787 205**	**2 425 970**	**2 053 951**	84,67%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	899 500	735 415	623 717	84,81%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1 887 705	1 690 555	1 430 234	84,60%



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (**დანართი №3**) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 240.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.95%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 216 201.08 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (**დანართი №1**) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (**დანართი №2**) და გადასახდელების (**დანართი №3**) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 9 თვის შესრულების (**დანართი №4**) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტის დასახელება: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით შემუშავდა. საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტიზაციის მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები და რაოდენობრივი გამოკითხვა. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის გაუმჯობესებაში ქედის მუნიციპალიტეტს ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტმა „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“, რომელიც ევროკავშირის (EU) პარტნიორია საქართველოში სოფლის განვითარების მხარდაჭერის საქმეში.

პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა საჭიროებების გამოკვეთის მიზნით მაისის თვეში ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი, რომლებზეც მოწვეული იყვნენ მოქალაქეები ქედის მუნიციპალიტეტის ათივე ადმინისტრაციული ერთეულის სხვადასხვა სოფლებიდან. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სათემო აქტივისტებმა,

LAG-ის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა ფერმერებმა, სკოლის პედაგოგებმა, შშმ პირებმა, ახალგაზრდებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

ფოკუს-ჯგუფების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრა-დისკუსია, სადაც მოწვეული იყვნენ ხუთივე ფოკუს-ჯგუფის აქტიური მონაწილეები. შეხვედრაზე იმსჯელეს დაბა ქედასა და სოფლებში არსებულ გამოწვევებზე და გამოკვეთეს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ფოკუს-ჯგუფებისა და სამუშაო შეხვედრის შემდეგ მომზადდა მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების ჩამონათვალი: შიდა გზების მოწესრიგება; საინიაღვრე სისტემების მოწესრიგება; საგზაო მოძრაობის მოწესრიგება (სკოლებთან და ბაღებთან) და დამცავი ბარიერები; ტროტუარების მოწესრიგება გზების უხვი ნალექისგან გაწმენდა; გარე განათება; მუნიციპალური ტრანსპორტი; სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება; სარწყავი სისტემის მოწესრიგება; საბავშვო-გასართობი ინფრასტრუქტურის შექმენა; სპორტულ-განაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობა: საცურაო აუზი, ტრენაჟორები, სპროტული მოედნები; კანალიზაციის მოწყობა; დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება; სოფლებში საბავშვო ბაღების აშენება; სკოლისგარეშე განათლების ცენტრების ფუნქციონირება; ბაზრები/ბაზრობები და გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება; კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების (ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრები, თეატრი და სხვა) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; შეკრებისთვის თავისუფალი სივრცეების მოწყობა და სხვა.

პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ასევე მოხდა მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება, რისთვისაც მომზადდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. განხორციელდა პირისპირ გამოკითხვა მუნიციპალიტეტის ათივე ადმინსტრაციულ ერთეულში, რომელშიც მონაწილეობა 150-მა მოქალაქემ მიიღო.

კვლევის მონაწილეთა მიერ სამ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიწოდება.

გამოკითხულთა აზრით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის კი მნიშვნელოვანია სოფლებში შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან ბოლო წლებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურისა და განვითარების საკითხებს. ბოლო წლებში სოფლის გზებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით 53 კმ მანძილზე მეტი ბეტონის საფარი დაიგო, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოთხ ლოკაციაზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა ქედაში სამრეწველო გზას, 2023 წელს 25 ლოკაციაზე სხვადასხვა სოფლებში აშენდა ნაპირსამაგრი კედლები და სანიაღვრეები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელ გზას, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი სამი ერთეული მძიმე ტექნიკით ექსტრემალურ სიტუაციებში დროულად ხდება დაზიანებული გზის მონაკვეთების აღდგენა, სანიაღვრე არხებისა და მეწყერებისგან დაზიანებული გზის ნაპირების გამაგრება. ასევე გზებზე არსებული საავტომობილო და საცალფეხო ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ბოლო ოთხ წელიწადში 6 ახალი ხიდი აიგო 6 სოფელში.

ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული რელიეფის სირთულის გამო მეტწილ სოფლებში დასახლებულ პუნქტებში არსებული მეწყერული პროცესების აქტიურობის გამო ხშირია რისკები და საფრთხეები საცხოვრებელი სახლების დაშლის ან დაზიანების მხრივ. გეოლოგიური კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სისტემატიურად გამოიყოფა ხარჯები. უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტის 60-მდე სოფელში განხორციელდა 227 პროექტი მეწყერული პროცესების შეჩერებისა და პრევენციის მიზნით. განხორციელებული პროექტების ამოქმედებით მოეწყო ფერდსამაგრი კედლები, სანიაღვრე არხები და მილხიდები, ასევე დაბა ქედაში მდინარების აკავრეთასა და აჭარისწყლის სანაპიროებზე მოეწყო რკინა ბეტონის ჯებირები 975 ზე მეტი გრძივი მეტრი, რითაც დაბის დასახლება და ინფრასტრუქტურა დაცული იქნა წყალმოვარდნის საფრთხისაგან, რაც გასულ წლებში სერიოზულ საფრთხეს შეადგენდა. 2023 წელს განხორციელდა 10 პროექტი მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერული პროცესების რისკების აღმოსაფხვრელად. ანალოგიური საფრთხეებისათვის სამომავლოდ მიმდინარეობს საკითხების პერიოდულად შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

დამეწყრილი ტერიტორიებიდან მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, მათი ახალი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებისათვის აშენდა ორი მრავალბინიანი სახლი 32 ეკომიგრანტი ოჯახისათვის. ასევე, სოფლებში 13 ოჯახისათვის აშენდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაბასა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ბიოლოგიურად სუფთა, უწყვეტი რეჟიმით წყალმომარაგების გადაწყვეტა. უკანასკნელი 6 წლის მანძილზე 20 სოფელში მოეწყო ახალი წყლის მაგისტრალი, რითაც წყლით უზრუნველყოფის საკითხი გაუუმჯობესდა 1740 მეტ აბონენტს, 2023 წელს განხორციელდა ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა სოფელ ორცვა-არსენაულის მოსახლეობისათვის. ასევე, დაბის წყალმომარაგების ქსელისათვის აშენდა 500 ტონიანი სამარაგო ავზი და დამონტაჟდა მექანიკური და ქიმიური გამწმენდი საშუალებები, რითაც მიღებულია დაბის მცხოვრებთა და საწარმოების უწყვეტი წყალმომარაგება. გატარებული ღონისძიებებით მიღწეული იქნა შედეგი, რომ ლაბორატორიული კვლევის შედეგად დაბინძურების ფაქტები მინიმუმამდე შემცირდა.

სამომავლოდ იგეგმება წყლის მომხმარებელი აბონენტების გამრიცხველიანება, ასევე ადრე აგებული 70 წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები: მილების ამოცვლა, სამარაგო ავზების რემონტი და მფილტრავი დანადგარების დაყენება. წყლის სისტემებისა და გამწმენდი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია დაბა ქედის ღარათის წყალსადენზე. ასევე, ახალი წყლის სისტემის მშენებლობა დაგეგმილია სოფელ , ვაიოში, მილისში,ტიბეთაში, ნამლისევში და აქუცაში.

პარალელურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო საკანალიზაციო სისტემები გამწმენდი ნაგებობები დაბა ქედაში, აწჰესის დასახლებაში, ზვარის, ცხმორისის და მახუნცეთის თემებში. შედეგად მიღწეულია მოხმარებული წყლების გაუვნებელყოფა. სამომავლოდ იგეგმება გამწმენდ ნაგებობებზე წყლის ქიმიური დამუშავებისათვის საქლორატოროებით აღჭურვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და ნარჩენების მართვის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული 2012-2013 წლებში. ნარჩენების შეგროვება ხდებოდა მხოლოდ 10 თემის ცენტრებიდან. სოფლის დასახლებებში ნარჩენების გადაყრა ხდებოდა თვითნებურად შექმნილ ნაგავსაყრელებსა და მდინარეების ნაპირებზე. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ორგანიზებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტით ბოლო წლებში შეძენილ იქნა 2 მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი და 420-ზე მეტი ნაგავშემკრები კონტეინერი. მიღწეულია შედეგი, რომ თავიდან იქნას აცილებული გარემოს მოსალოდნელი დაბინძურების ფაქტები, მუნიციპალიტეტის სოფლებში 85 პროცენტამდე მოსახლეობისგან ორგანიზებულად ხდება ნარჩენების შეგროვება და გადატვირთვა. მინიმუმამდე შემცირდა უკანონო ნაგავსაყრელების გამოვლენა.

დაბასა და სოფლებში სხვა ინფრასრუქტურულ ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად გეგმიურად მიმდინარეობს გარე-განათების ქსელი გაფართოება. 2018-2022 წლების პერიოდში სხვადასხვა სოფლებსა და დაბის ცენტრში 729 ლოკაციაძე მოეწყო გარე-განათების სისტემები, სულ 2000 ზე მეტი ერთეული. 2023 წელს გარე-განათების ქსელს დაემატა 500 ერთეული. აღნიშნული მიმართულებით სამომავლოდაც იგეგმება ქსელის გაფართოება.

2018-2022 წლებში ქუჩების და თემის ცენტრების კეთილმოწყობისათვის განხორციელებული იქნა მნიშვნელოვანი პროექტები. დაბა ქედაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა გოგებაშვილის, აბაშიძის, 26 მაისის, თამარ მეფის, სახოკიას და წერეთლის ქუჩებს. 10 თემის ცენტრებსა და სოფლებში მოეწყო თავშეყრის ადგილები, სანიაღვრეები, დამცავი კედლები და საცალფეხო ბილიკები. მოეწყო დასასვენებელი პარკი ზვარის თემის ცენტრში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გაფართოვდა დაბა ქედის ცენტრალური პარკი. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე.

მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა დაბასა და სოფლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობისათვის. ბოლო ხუთ წელიწადში აშენდა ოთხი ახალი სპორტული მოედანი დაბა ქედაში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე, ზედა მახუნცეთში, სოფელ ხარაულაში და კვაშტაში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ცხმორისის, ახოს, წონიარისის, ნამლისევის, ვაიოს, ზუნდაგის, გოგიაშვილების, პირველი მაისის, ძენწმანის, გულების მინი სპორტულ მოედნებს. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაბა ქედაში საფეხბურთო სტადიონს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ქსელის გაფართოებისა და მოზარდთა აღზრდა-განათლების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ბაგა-ბაღის შენობას. დაბასა და სოფლებში. მიღწეულია შედეგი, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმულია სწავლებაში.

დაბისა და სოფლების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უკანასკნელ წლებში განხორციელდა 7 პროექტი, ახალი კულტურული ობიექტების მშენებლობისა და არსებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით. ახალი კლუბის შენობა აშენდა სოფელ პირველ მაისში, მეძიბნაში, ზვარეში, მახუნცეთში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ცხმორისის კულტურის სახლს. დაბა ქედის კულტურის ცენტრის შენობას შეეცვალა სახურავი, აშენდა ახალი შენობა ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმისათვის.

არსებითად მნიშვნელოვანია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების პროცესში, სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) საჭიროებები. ასევე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტურისტების საჭიროებებზე ადაპტირებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება.

ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება მოხდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

• მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;

• ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.
- მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- საცხოვრებელ და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა;
- შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი;
- მთების ელექტროფიკაცია (მათ შორის საპროექტო-სახარჯთააღიცხვო დოკუმენტაციის შეძენა).

ცხრილი №1

ლარებში

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	5 501 282	9 493 533	5 807 200	12 415 000	14 166 700	13 007 900
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 588 582	3 727 310	1 593 500	3 047 500	3 356 500	3 472 200
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	932 679	1 287 150	1 560 700	1 736 100	1 894 300	1 694 400
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	403 509	723 550	948 400	900 000	1 000 000	700 000
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	529 170	563 600	612 300	836 100	894 300	994 400
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 856 421	2 678 600	1 750 000	6 320 000	7 480 000	6 200 000
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	260 477	470 400	850 000	3 700 000	4 450 000	1 600 000
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	455 155	606 500	500 000	2 500 000	2 900 000	3 100 000
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 140 788	1 601 700	400 000	120 000	130 000	1 500 000
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	153 857	456 273	185 000	395 000	430 000	485 000

02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	11 760	8 000	13 000	16 000	20 000	23 000
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	617 244	750 000	0	0	0	0
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	14 000	15 000	15 000	25 000	25 000	25 000
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	326 739	385 200	524 000	875 400	960 900	1 108 300
02 09	მთების ელექტროფიკაცია (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, გომის მთა)	0	186 000	166 000	0	0	0

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1
პროგრამული კოდი: 02 01
პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული);
- მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება;
- ბურღვა აფეთქება;
- დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა;
- შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1
პროგრამული კოდი: 02 02
პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა
პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;

- სოფელ პ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
- სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა;
- სოფელ პ/მაისის ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
- სოფელ ძენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
- შპს „ქედის წყალკანალი“-ს სუბსიდირება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამა: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 03

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება;

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა;
- სოციალური სახლის მშენებლობა (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი ტერიტორიები.

პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 04

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა- ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;
- პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1
პროგრამული კოდი: 02 05
პროგრამის მიზანი:
ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაცია;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
ხელშეწყობილია და პოპულარულია ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქცია

პრიორიტეტის დასახელება - დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:
აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი კავშირი მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ქედის მუნიციპალიტეტის ხედვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში უკავშირდება ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასევე, გარდა ეკონომიკური განვითრებისა, თავის მხრივ, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და

ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 13 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფლი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

• ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე-განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა.

უზუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №2
პროგრამული კოდი: 03 00
პროგრამის მიზანი:
მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა
პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სუბსიდირება;
- ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული);

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა

ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა პატრონობა.
უზუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოებოის მოვლა-პატრონობა.

ცხრილი №2

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1 084 575**	**1 784 800**	**1 694 100**	**3 216 200**	**3 630 300**	**3 670 400**
03 01	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში**	**1 084 575**	**1 784 800**	**1 694 100**	**3 216 200**	**3 630 300**	**3 670 400**
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	1 054 875	1 612 500	1 435 700	2 516 200	2 730 300	2 670 400
03 01 02	ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული)	0	172 300	258 400	0	0	0

პრიორიტეტის დასახელება - განათლება

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ბაგა-ბაღების კეთილმოწყობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქედის მოსახლეობისთვის.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სკოლამდელი აღზრდა და განათლება;

ცხრილი №3

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
04 00	**განათლება**	**2 139 347**	**2 987 000**	**3 035 000**	**4 931 300**	**5 430 000**	**6 430 850**
04 01	**სკოლამდელი აღზრდა და განათლება**	**2 136 747**	**2 967 000**	**3 010 000**	**3 591 300**	**3 885 000**	**4 380 850**
04 01 02	**საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია**	**0**	**0**	**0**	**1 300 000**	**1 500 000**	**2 000 000**

04 02	**ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა**	**2 600**	**20 000**	**25 000**	**40 000**	**45 000**	**50 000**

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
განათლება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №3
პროგრამული კოდი: 04 01
პროგრამის მიზანი:
სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.
პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება;
- ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო;

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:
ქედის მუნიციპალიტეტის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს

ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

ამასთან, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად ყალიბდება, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება რეგიონული და მუნიციპალური მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელოვანების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ კულტურული ცენტრის ფორმირების პროცესში, მუნიციპალიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

სპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი," საქართველოს კანონი ,,სპორტის შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის განკარგულება #601 ,,სპორტის სახელმწიფო დოკუმენტის'' დამტკიცების შესახებ.)

ქედის მუნიციპალიტეტისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ასევე მასობრივი სპორტის განვითარება და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა. როგორც კულტურის სფეროში, ასევე სპორტის მიმართულებითაც, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და რაც მთავარია, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, (საქართველოს მთავრობის განკარგულება #553 2.04. 2014 წ.)

ქედის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობები და ასევე ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

ცხრილი №4

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3 494 449**	**3 888 356**	**5 734 400**	**5 967 400**	**6 910 200**	**7 998 850**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**1 411 869**	**1 348 366**	**1 929 100**	**2 235 600**	**2 686 600**	**3 345 100**
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**2 082 580**	**2 539 990**	**3 805 300**	**3 731 800**	**4 223 600**	**4 653 750**

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები
პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4
პროგრამული კოდი: 05 01
პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა
- სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა;

- სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
  - მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ.ცხმორისი);
  - სოფელ ცხემნაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა;
  - დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ქედელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის მიზანი:

ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. არსებული კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა;
- ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა:
  - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

- კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა:
  - დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია;
  - წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა, შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები.

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასაბუთება :

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2020“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ხოლო სოციალური დაცვის სერვისების განვითარების კუთხით, რეგიონის პრიორიტეტს სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი მოსახლეობისთვის,

რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მისაღწევად, აგრეთვე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში. თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა.

ცხრილი №5

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1 883 689**	**2 263 247**	**2 504 600**	**3 242 000**	**3 514 000**	**3 834 000**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1 041 566**	**861 200**	**922 100**	**1 135 000**	**1 284 000**	**1 462 000**
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**842 122**	**1 402 047**	**1 582 500**	**2 107 000**	**2 230 000**	**2 372 000**

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ამბულატორიული მომსახურეობის პროგრამა;
- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა;
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2024-2027 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის (დასაბუთება) მიზანი:
საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;
- საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა;
- ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა;
- მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარება;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება;
- საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება;
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმარტველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10 000 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 288,400 ათასი ლარით (8,36%-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16 290,600 ათასი ლარით;

  2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,58%-ით (1 288.400 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 400 000 ათას ლარს;

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 7 500,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 7 500,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 257,00 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ პროცენტები 140,00 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 117,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 77,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 27,0 ათასი ლარი;

- ✓ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 20.0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 36,0 ათასი ლარი;**

- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 200.0 ათასი ლარი;**

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ-ის ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები:

- პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (0201); ქვეპროგრამები: გზების რეაბილიტაცია (020101);

- პროგრამა - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (0202); წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (020201);

- პროგრამა - კეთილმოწყობის ღონისძიებები (0203); პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (020303);

- პროგრამა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება (0401); ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება (040101);

- პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა (050101);

- პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (0502); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი (050201); ქედის სახელოვნებო სკოლა (050202);

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 25 467,800 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 927,164 ათასი ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 5 807,2 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** - 1 593,500 ათასი ლარი;

    განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

    - შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;
    - ავტობუსის შესყიდვა;
    - მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება;
    - ბურღვა აფეთქება.
    - დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა
    - შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო.
  - ✓ **საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება** 1 560,700 ათასი ლარი,

    განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

    - სოფელ პ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა
    - სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა;
    - სოფელ პ/მაისის ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
    - სოფელ ძენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
    - შპს ქედის წყალკანალი სუბსიდირება;

    მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებას, ფილტრაციას, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვას.

- ✓ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები** -1 750,000 ათასი ლარი;

  განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

  - ბინათმესაკუთრეტა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
  - ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა;
  - სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა);
  - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
  - ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახოში სკვერის მოწყობა.

- ✓ **მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები - 185,000 ათასი ლარი;**

  განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

  - ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;
  - პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;
  - მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა;

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ✓ **სოფლის მეურნეობის ხელშეყყობა - 13,0 ათასი ლარი;**

  განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

  - აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;
  - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა;

- ✓ **საცხოვრებელ და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობებში ელექტრომეურნეობის აღდგენა 15,0 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2023 წლებში ახლადაშენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ელექტრომეურნეობის გამართვა, შესაბამისი ხარჯების გადახდა და მათი გამრიცხველიანება. ასევე, სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილები, რომლებიც აშენებულია ბიუჯეტის ხარჯებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,

საჭიროა ელექტრომეურნეობის ქსელში ჩართვა და სათანადო ფინანსირება. მუნიციპალიტეტის კუთვნილ ზოგიერთ შენობებში დაზიანებულია ელექტრომრიცხველები და საჭიროა ახლით შეცვლა.

- ✓ **შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი** 524,00 ათასი ლარი.

შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა;

ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება;

გ) გადასახადების ამოღება;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა;

დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა;

ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი;

ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა;

ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება;

თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“ მართვა და განვითარება.

ორგანიზაციამ 2020-2023 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიოტირაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ტურისტული ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ შექმნას ის ინფრასტრუქტურული გარემო, რომელიც დაეხმარება ბიზნესს. ორგანიზაციის მიზანია ადვოკატირების და ლობირების განხორციელება ბიზნესისთვის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანზაიციებთან, სამინისტროებთან და მათ საქვეუწყებო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ პერიოდის მანძილზე შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა, მოაწყო 4 ინფო-ტური მუნიციპალიტეტის მასშტაბით და განახორციელა 2 მედია ტური. 2024 წელს ორგანიზაცია გეგმავს ინფო და მედია ტურს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისათვის.

2022 წლის ნოემბერში ორგანზიაციამ ჩაატარა ღვინის ფესტივალი. მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფესტივალი იყო ყველაზე ინოვაციური და კარგად ორგანიზებული ფესტივალებს შორის, რაც აქამდე ჩატარებულა. კავშირები დაამყარა შემდეგ ორგიზაციებთან, როგორებიცაა: არასამთავრობო ორგანიზაცია სენი(CENN), ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამეტი, ა/ო GIZ, ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის და სხვადასხვა სამსახურებთან, რომელიც ჩართულნი არიან მუნიციპალიტეტში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით. პროექტი: ურთიერთთანამშრომლობა სოფლის მდგრადი განვითარებისთვის. განმახორციელებელი: ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა ქსელისა და კავშირების განვითარებით, რაც მიზნად ისახავს თემის გაძლიერებას და ადგილობრივი პროდუქტების და სერვისების მარკეტინგს როგორც ქედის მუნიციპალიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშულ პროექტში „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ განათავსა ერთი სენსორული მონიტორი სოფელ ვაიოში და ადმინისტრირებას უწევს პლატფორმას www.smartkeda.ge. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამა - უკეთესი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის და ქედის

მუნიციპალიტეტის მერიის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ქედაში ციფრული წიგნიერების ცენტრი ამოქმედდა. აღნიშნულ ცენტრში წარმოდგენელია ყველა საჭირო თანამედროვე ტიპის ინვენტარი, რომელზეც წვდომა ექნება ქედის მუნიციპალკიტეტის და მეზობელი მუნიციპალიტეტების მსოახლეობას, ასევე უცხოელ თუ შიდა ტურიზმის წარმომადგენლებს. აღნიშნულ ცენტრს მართვას უწევს „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“. ,,კარვების ქალაქში“ ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მდებარე ორცვის მთაზე ერთ, ორ და სამადგილიანი კარვები განთავსდა, პროექტის მიხედვით მოეწყო საშხაპეები, ბიოსაპირფარეშოები, სამზარეულო და საკონფერენციო დარბაზი. კარვები ყოველდღიური საჭიროების ინვენტარით აღიჭურვა. პროექტი არის ენერგოეფექტური, წარმოდგენელია სამზარეულოთი და შეხვედრების დარბაზით. შესაძლებელია ერთდროულად 110 ვიზიტორის მიღება. პროექტს მართავს „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი. ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის (ქედა ლიდერი)“ პროექტის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი, სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნულ პროექტში შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა გააკეთა LAG_თან ერთად საგრანტო განაცხადი, რომელმაც ყველა ეტაპი გაიარა და ველოდებით ოფიციალურ პასუხს. პროექტის მიზანი იქნება ქედის მუნიციპალიტეტის რესურსის პოპულარიზაცია სხვადასვხა ტიპის აქტივობებით... მერები ეკონომიკური ზრდისთვის“წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ერევანში მიმდინარე მაღალი დონის კონფერენციის დროს დაიწყო1და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ ხელისუფლებებზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. 2. "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მთავარ მისიას მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით და კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ. აღნიშნულ პროექტში შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი აქტიურად არის ჩართული. ჩვენი ხშირი კომუნიკაციის საფუძველზე სამდივნო განიხილავს ქედაში ღვინის ინდუსტრიის, აგრო ტურიზმის, ეკო ტურიზმის, გასტრონომიული ტურიზმის ექსპერტების დახმარებას აბსოლიტურად უსასყიდლოდ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროექტში ქედა, შუახევი და ხულო ერთად არის ჩართული და გააჩნია საერთო ეკონომიკური გეგმა, რასაც ანალოგი არ აქვს საქართველოში. მარტიდან დღემდე სამსახური აკეთებს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა, კვების და განთავსების ობიექტებს აძლევს რჩევებს და რეკომენდაციებს თუ როგორ დაიცვან ყველა სტანდარტი. აყალიბებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს მაშტაბით. მახუნცეთის პრობლემა, რომელიც ეხება გარე მოვაჭრეებს, სამსახურმა გააკეთა რამდენიმე შეხვედრა, მიაღწია მათთან შეთანხმება, რომ შეიქმნას საერთო ზომის და ფორმის დახლი, რათა ტურისტული ლოკაცია გახდეს ევროპული სტანდარტის და იყოს მეტად მოწესრიგებული. ასევე მნიშვნელოვანია სამსახურის მდგრადობა და შემოსავლები რათა წლიდან წლამდე უფრო მეტად გახდეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ციფრული წიგნიერების ცენტრი გახსნის დღიდან დატვირთულია სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებით და სასწავლო პროგრამებით. დღეის მონაცემებით სულ 1000 -მდე ბენეფიციარმა გაიარა სასწავლო ტრენინგ- კურსები.

2024 წელში ვგეგმავთ სასწავლო კურსების გაზრდას, რაც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხების შესახებ.

ასევე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს კერძო ბიზნესების შემოსავლის ზრდას.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1 694,100 ათასი ლარი; მათ შორის:**

  - ✓ **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა და სუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში - 1 694,100 ათასი ლარი,**

    - **შპს ქედის კომუნალურსერვისი;**

ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებების უზრუნველყოფას. კერძოდ, დაბის მთლიან ტერიტორიაზე ხდება ქუჩების დაგვა დასუფთავება, სპეციალურად განთავსებულ ურნებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და შემდეგ გატანა გონიოს ნაგავსაყრელზე სპეციალური ნაგავმზიდებით. ამ სფეროში დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი, გვაქვს ორი ერთეული ნაგავმზიდი ავტომობილი. მუნიციპალიტეტის 64 ვე სოფელში და დაბის ტერიტორიაზე განლაგებულია ქუჩების გარე-განათება, ყოველწლიურად ემატება გარეგანათებების რაოდენობა სოფლებში რომლებიც პერიოდულად საჭიროებენ მოვლაპატრონობას, (დამწვარი ნათურების გამოცვლა, მეწყერების და სხვა რიგი მიზეზებით გამოწვეული დაზიანებული კაბელების და ე.წ. პლაფონების აღდგენა), რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების არსებული წერტილების ექსპლუატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა. ძირითადად წინასაახალწლო პერიოდში და მათი დემონტაჟი ახალი წლის დღეების შემდეგ. ამ სფეროში დასაქმებულია 16 თანამშრომელი და ორი სპეციალური ამწე-კალათა, რომელთაგან ერთი მათგანი ამორტიზებულია და თითქმის აღარ არის ექსპლუატაციაში, ამიტომ ორგანიზაცია აუცილებლად საჭიროებს ერთი ახალი ამწეკალათის დამატებას. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში ხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. ხორციელდება აგრეთვე დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, რომლებისთვისაც გამოყოფილია 12 თანამშრომელი, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რისთვისაც წელიწადში გამოყოფილია 18200 ათას ლარამდე და გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულ ფირმასთან ხდება ხელშეკრულების დადება რითაც უზრუნველყოფლი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აგრეთვე ადგილობრივი პარკებისა და სკვერების მოვლაპატრონობა, კერძოდ დაბის ტერიტორიაზე არსებობს რამოდენიმე პარკი და სკვერი სადაც წლის განმავლობაში პერიოდულად ხდება ბილიკებსა და გაზონებზე გაზრდილი ბალახების გაცელვა, ხეებისა და დეკორატიული ბუჩქების გასხვლა და სხვა დასხვა დასუფთავებითი სამუშაოების ჩატარება, რომელსაც ემსახურება ხუთი მებაღე და სამი დარაჯი. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ე.წ. შიდა საუბნო გზების მოვლაპატრონობა მეწყერების გაწმენდითი სამუშაოები და ასევე ზამთარში თოვლისაგან გაწმენდა. ამ სფეროში გაგვაჩნია მძიმე ტექნიკა კერძოდ თვითმცლელი ავტომაქანა, მრავალფუნქციური ექსკავატორი და ე.წ. ბელარუსის ტიპის დანიანი ტრაქტორი. 2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი იქნა ერთი ერთეული მრავალფუნქციური ექსკავატორი, რომელიც გადმოგვეცა უსასყიდლოდ.

    - **ნაგავმზიდის შეძენა;**

მუნიციპალიტეტში არსებულ დაბასა და 64 სოფელში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ორი სპეცტექნიკა, რომელთა მიერ დაფარულია

მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 75%. სრული არეალის მოსაცავად და წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის დამატებით საჭიროა ერთი ერთეული სპეცტექნიკის შეძენა.

- **განათლება - 3 035,000 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 3 010,000 ათასი ლარი;**
  - ✓ **ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა - 25,000 ათასი ლარი;**

განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოტივირება.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5 734,400 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 929,100 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

  - ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 3 805,300 ათასი ლარი,**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 504,600 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **ჯანმრთელობის დაცვა - 922,910 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- ამბულატორიული მომსახურება;
- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- ოპერაციული მკურნალობის დაფინანსება;

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ქრონიკული დაავადების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

✓ **სოციალური უზრუნველყოფა - 1 582,500 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;
- საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა;
- ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლა;
- მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება;
- საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა);
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება;

➢ **მმართველობა - 6 692,500 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ საკრებულოს დაფინანსება - 1 193,900 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის მერია - 3 742,200 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 100,000 ათასი ლარი;

✓ მონაწილეობითი ბიუჯეტი - 1 500,000 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში - 50,000 ათასი ლარი;

✓ სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 45,400 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 27,0 ათასი ლარი და პროცენტი - 18,4 ათასი ლარი;

✓ "წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა"

✓ ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - 45,000 ათასი ლარი;

- ✓ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - 5,000 ათასი ლარი;
- ✓ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლება - 10,000 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
	სულ ჯამი	25 467 800
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 193 900
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3 742 200
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100 000
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	1 500 000
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	50 000
01 02 04 01	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	45 400
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა	1 000
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა	45 000
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5 000
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლება	10 000
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 259 000
02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	206 100
02 01 03	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება	8 000
02 01 04	ბურღვა აფეთქება	10 000
02 01 05	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა	30 000
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	80 400
02 02 01 01	სოფელ პ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	130 000
02 02 01 02	სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა	588 400
02 02 01 03	სოფელ პ/მაისის ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	80 000
02 02 01 04	სოფელ ძენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	150 000
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	612 300
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	100 000
02 03 01 02	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა	250 000

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)	500 000
02 03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	500 000
02 03 03 01	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახოში სკვერის მოწყობა	400 000
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	5 000
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100 000
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	80 000
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	5 000
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა	8 000
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	524 000
02 09	მთების ელექტროფიკაცია(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, გომის მთა)	166 000
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	1 435 700
03 01 02	ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული)	258 400
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	3 010 000
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	25 000
05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	587 000
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	90 000
05 01 03 02	სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები	140 300
05 01 04 01	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ.ცხმორისი)	646 200
05 01 04 02	სოფელ ცხემნაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა	183 900
05 01 04 03	დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა	281 700
05 02 01	ა.(ა).ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	1 626 000
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	294 000

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	194 000
05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	101 000
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	40 000
05 02 06 01	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	950 300
05 02 06 02	წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	600 000
06 01 01	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	161 100
06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	225 000
06 01 03	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	93 600
06 01 04	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	80 000
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	350 000
06 01 06	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნვეყოფა	12 400
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	32 000
06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	107 700
06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	105 000
06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	75 000
06 02 06	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	35 000
06 02 07	სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	50 000
06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა	350 000
06 02 10	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	216 000
06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	28 800
06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	26 200
06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	462 000
06 02 14	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	94 800

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6 664,500 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2 130,500 ათასი ლარი;*
- *დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 694,100 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3 676,700 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 922,100 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 4 853,400 ათასი ლარი;*
- *განათლება - 3 916,000 ლარი;*

- *სოციალური დაცვა - 1 582,500 ათასი ლარი;*

„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. ინფორმაცია 2023 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი